პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1974 წ. №62 (5092) 28 მარტი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გიგანტური სლალომის ტრასაზე

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალური სტარტებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო ციმბირის სამთომოთხილამურეთა ასპარეზობა, რომელიც მეჟდურეჩენსკში ჩატარდა. შეჯიბრებაში ტომსკის, ირკუტსკის, კემეროვოს, ნოვოსიბირსკის ოლქების, კრასნოიარსკისა და ალტაის მხარის 75 სპორტსმენი მონაწილეობდა.

• • •

სურათზე: კემეროვოელი სპორტის ოსტატი ლ. კაბანოვა გიგანტური სლალომის ტრასაზე.

ვ. კლიუევის ფოტო (საკდესი).

# ლამაზი ფეხბურთისთვის!

სოჭი, 25 მარტი. სსრ კავშირის 1974 წლის ნაკრებმა, რომელმაც უფროსი მწვრთნელის კ. ბესკოვისა და მწვრთნელის ა. პარამონოვის ხელმძღვანელობით თავისი პირველი სასწავლო შეკრება დაიწყო, ჩაატარა ღია კომკავშირული კრება და იგი საკავშირო ალკკ მოახლოებულ XVII ყრილობას მიუძღვნა.

გულმხურვალედ, ინტერესით ლაპარაკობდნენ საბჭოთა სპორტის ამოცანებსა და საბჭოთა ფეხბურთის პრობლემებზე ქვეყნის მოწინავე ოსტატები. დასასრულ კომკავშირულმა კრებამ ერთხმად მიიღო სსრ კავშირის ნაკრების მიმართვა ქვეყნის ოსტატთა გუნდების ფეხბურთელებისა და კომკავშირელებისადმი.

### გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ № 71

„ჩვენ, სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა, თავი მოვიყარეთ პირველ საწვრთნელ შეკრებაზე, რომლითაც იწყება ჩვენი გუნდის მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. ეს ხდება ღირსშესანიშნავი მოვლენის — საკავშირო ალკკ XVII ყრილობის დაწყებამდე, როცა ქვეყნის კომკავშირული ორგანიზაციები საბჭოთა ახალგაზრდობის ყველაზე საპატიო და წარმომადგენლობით ფორუმს უპატაკებენ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას.

ჩვენ, სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა, ვიცით, რომ გასულ სეზონში ვერ შევძელით გაგვეხარებინა ფეხბურთის მრავალრიცხოვანი მოყვარულები ლამაზი, შედეგიანი თამაშით. დიახ, ჩვენ ისევ ვალში ვართ გულშემატკივართა მრავალმილიონიანი არმიის წინაშე და ამიტომ გვსურს ახალ სეზონში ღირსეულად ვატაროთ საბჭოთა სპორტის დროშა საერთაშორისო მატჩებში.

კომკავშირულ კრებაზე გადავწყვიტეთ, რომ თითოეული ჩვენგანი თავდაუზოგავად იმუშავებს ქვეყნის ნაკრების თამაშის ხარისხის ამაღლებისთვის.

ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის ნაკრების ყოველი მოთამაშე ვალდებულია დაუღალავად, თავდაუზოგავად იმუშაოს ინდივიდუალური ოსტატობის ამაღლებისთვის, დაეუფლოს ფეხბურთის თანამედროვე ტაქტიკას.

ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის ნაკრების თითოეული მოთამაშის სპორტული მოღვაწეობა უნდა გამოირჩეოდეს მაღალი პირადი დისციპლინითა და ყოველი სპორტსმენის პასუხისმგებლობის გრძნობით, თანაც არა მარტო თავისი თავისთვის, არამედ მთელი კოლექტივისთვის პასუხისმგებლობის გრძნობით.

დასასრულ, ეს ნიშნავს, რომ ყოველი კომკავშირელი, ნაკრების მოთამაშე, თავის კლუბში მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს — თამაშებში, საწვრთნელ მეცადინეობებზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დარწმუნებული ვართ, ჩვენს მიერ აღებული ვალდებულებების მიმართ, ჩვენი იმ სურვილის მიმართ, რომ საბჭოთა ფეხბურთი ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს, ჩვენი ქვეყნის ოსტატთა გუნდების ფეხბურთელები გულგრილნი არ დარჩებიან. სწორედ ამიტომ, ტყავის ბურთის ყველა ოსტატს — მინდორზე მეტოქეებს, მაგრამ მუდამ ჩვენს ამხანაგებს, მივმართავთ მოწოდებით, რომ დაუღალავად იმუშაონ ოსტატობის შემდგომი სრულყოფისთვის, ითამაშონ კორექტულად, მთელი ძალის მობილიზებით, ისე, როგორც მოითხოვენ მაყურებლები და თავად ფეხბურთი.

ყველა ფეხბურთელთან ერთად ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ უკვე 1974 წელი — კომკავშირისთვის დიდი ლენინის სახელის მინიჭების 50-ე წლისთავის წელი — ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულებს ბევრ ლამაზ, დასამახსოვრებელ მატჩს მოუტანს.

ბლოხინი — გუნდის კომორგი, ბუკიევსკი, ვერემეევი, ძოძუაშვილი, ზანაზანიანი, იშტოიანი, კაპლიჩნი, კოლოტოვი, კონკოვი, ლოვჩევი, მატვიენკო, მაჩაიძე, მუნტიანი, ოლშანსკი, ონიშჩენკო, პილგუი, რუდაკოვი, ხარჩისიანი, ფედოტოვი, ფომენკო, ხურცილავა, შეპელი“.





# ლიდერი შეიცვალა

პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა გუნდების საკავშირო ტურნირის მონაწილეთა შორის 26 მარტს უთუოდ ყველაზე ბედნიერად რ. კორსუნსკი გრძნობდა თავს. ამ ბაქოელმა მეათეკლასელმა მოსწავლემ, რომელიც მხოლოდ პირველთანრიგოსანია, ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა დიდოსტატთან შეხვედრაში. პირველ ტურში მან, როგორც ვიუწყებოდით, რიგელთა კაპიტანს მ. ტალს მოუგო, II ტურში — ჩელიაბინსკელთა ნაკრების კაპიტანს ლ. პოლუგაევსკის. 2 ქულა 2-დან — ეს შედეგი, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს.

ორი ტურის შემდეგ ქულა-ნახევარი აქვთ ასევე მეათეკლასელ მოსწავლეებს — ჩელიაბინსკელ პირველთანრიგოსანს ს. სკრიპნიკოვსა და ჩერნოვცელ ოსტატობის კანდიდატს მ. რობინოვიჩს. სკრიპნიკოვმა ჯერ ლენინგრადელთა კაპიტანს მ. ტაიმანოვს მოუგო, ახლა კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბაქოელთა კაპიტანთან, საერთაშორისო ოსტატ ვ. ბაგიროვთან. რობინოვიჩმა, რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მოსკოველთა კაპიტან ი. ავერბახთან, სამშაბათს ტაიმანოვს მოუგო.

II ტურში გაიმარჯვეს, აგრეთვე, ლენინგრადელმა ოსტატობის კანდიდატებმა ა. სოჩაგინმა და ლ. ზამანსკიმ ჩერნოვცელთა კაპიტან გ. კუზმინთან სეანსში. ჭაბუკებმა რამდენიმე შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს. ასეთივე შედეგით დაამთავრა პარტია ლენინგრადელმა პირველთანრიგოსანმა გოგონამ ლენა ბელოვამ (კუზმინთან).

2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ლენინგრადელები. მათმა ლიდერმა ტაიმანოვმა და მოსწავლეთა შვიდეულმა 15,5 ქულა მოაგროვეს. ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ რიგელებს. პირველმა ლიდერებმა — მოსკოველებმა III ადგილზე გადაინაცვლეს — 14,5 ქულა.

ვ. ბაბკინი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.



◆ იჟევსკი, 27 მარტი. დაუგავპილსელი მოკრივე ნ. ლოდინი ოთხი დღის წინათ აქ დაწყებული საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. იგი პირველი ნახევარფინალისტია არა მარტო მეორე უმჩატესი წონის წარმომადგენელთა, არამედ საერთოდ ჩემპიონატის მონაწილეთა შორის. ეს უფლება ლოდინმა დღეს მოიპოვა, როცა სვერდლოვსკელ ნ. მოისეევს სძლია ქულებით. სხვა წონით კატეგორიებში წინასწარი შეხვედრები გრძელდება.

◆ კარაკასი, 27 მარტი. პროფესიულ მძიმეწონოსანი მოკრივეების ჯ. ფორმენისა და კ. ნორტონის გუშინ აქ გამართულმა ორთაბრძოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ფორმენმა შეინარჩუნა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი.

# ახლა რიგაში...

გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი რიგაში ახალ ტურნირში ჩაება. ლატვიის დედაქალაქში მოსკოვიდან ყველა უცხოელი ტანმოვარჯიშე ჩავიდა, საბჭოთა მონაწილეების რიგები კი განახლდა. ადგილობრივ სპორტის სასახლეში პირველ დღეს ვაჟები მრავალჭიდში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. 18 სახელმწიფოს სპორტსმენთა პაექრობაში გუშინწინ ყველას აჯობა გროზნოელმა სტუდენტმა ვ. მარჩენკომ, რომელმაც 56,25 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი მ. ცუკაჰარა (იაპონია) — 56,1, ხოლო III — ვ. ტიუნე (გდრ) — 55,3.

მოგვყავს 23-24 მარტს მოსკოვში გამართული საერთაშორისო შეჯიბრების ტექნიკური შედეგები:

**ქალები.** მრავალჭიდი. 1. ს. გროზდოვა — 37,9 ქულა, 2. ე. პრიმაკი — 37,5, 3. ე. საადი — 36,85, 4. ე. აბრამოვა (ყველა — სსრ კავშირი) — 36,65, 5. მ. ეგერვარი (უნგრეთი) — 36,35, 6. დ. ფაიკი (აშშ) — 36,3. პირველობა ცალკეულ სახეობებში. ბჯენითი ხტომა. 1. რ. საბეუ (რუმინეთი) — 18,8, 2. გროზდოვა — 18,6, საადი — 18,55. ძელი. 1. საადი — 19,15, 2. გროზდოვა — 18,9, 3. ე. პრიმაკი — 18,5. ორძელი. 1. პრიმაკი — 18,9, 2. ეგერვარი — 18,7, 3. აბრამოვა — 18,6. თავისუფალი ვარჯიში. 1. საადი — 19,4, 2. გროზდოვა — 19,3, 3. პრიმაკი — 18,75.

**ვაჟები.** მრავალჭიდი. 1. ვ. კლიმენკო — 56,65 ქულა, 2. პ. შამუგია (ორივე — სსრ კავშირი) — 55,5, 3-4. ვ. ტიუნე (გდრ), მ. ცუკაჰარა (იაპონია) — 55,45-55,45, 5-6. რ. მიქაელიანი (სსრ კავშირი), ქ. ხორიდე (იაპონია) — 54,7-54,7. პირველობა ცალკეულ სახეობებში. თავისუფალი ვარჯიში. 1. დ. კროსბი (აშშ) — 19,15, 2. კლიმენკო — 19,1, 3. ხორიდე — 18,8. ტაიჭი. 1. შამუგია — 18,7, 2. მიქაელიანი — 18,6, 3. ტიუნე — 18,55. რგოლები. 1. ვ. შჩუკინი (სსრ კავშირი) — 19,05, 2. მიქაელიანი — 18,9, 3. ცუკაჰარა — 18,65. ბჯენითი ხტომა. 1-2. კლიმენკო, ხორიდე — 18,625-18,625, 3. შამუგია — 18,5. ორძელი. 1. კლიმენკო — 18,7, 2. ტიუნე — 18,55, 3. შამუგია — 18,5. ძელი. 1. ე. კენმოცუ (იაპონია) — 19,05, 2. ტიუნე — 18,95, 3. ცუკაჰარა — 18,85.

• • •

სურათზე: 15 წლის როსტოველი ტანმოვარჯიშე სვეტლანა გროზდოვა ასპარეზობის დროს. ამ ნიჭიერმა გოგონამ შესანიშნავი ოსტატობა გამოავლინა და ღირსეულად მოიგო „მოსკოუ ნიუსის“ პრიზი.

ა. აბაზის ფოტო.

(„კომსომოლსკაია პრავდა“).

# დაუდევრობა და სიყალბე

„ძვირფასო რედაქციავ! ჩვენ ერთ დროს გვქონდა ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მაგრამ სოფლის თავკაცების უყურადღებობის წყალობით, დღეს აღარც ერთი სპორტული ბაზა არ გაგვაჩნია. კინოს გარდა მოკლებული ვართ ყოველგვარ გართობას...“

ასე იწყებოდა რედაქციაში შემოსული ერთი წერილი. ბარათი ბოლომდე რომ ჩავიკითხეთ, თვალწინ წარმოგვიდგა სპორტულ მოედნებზე აგებული სახლები, ბალჩა-ბოსტნებით დამშვენებული კარმიდამო, „დაუსახლებელ“ ადგილზე მოთარეშე პირუტყვი და ავტომანქანები...

ეს ამბავი აგერ, ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში ხდებაო, — გვაუწყებდა 15 კაცი. ფაქტები დაზუსტებას მოითხოვდა და ჩვენც არ დავაყოვნეთ. წერილის ავტორებმა პირველად ქართულ ჭიდაობაზე ჩამოგვიგდეს სიტყვა. როგორც ქართლის სოფლების უმეტესობაში, სპორტის ეს ეროვნული სახეობა ზემო ხვედურეთშიც თავისებური ბილიკია ახალგაზრდობისთვის დიდ სპორტში გასასვლელად. ეს ბილიკი ჯერ ქარელისა და გორის სპორტულ სცენებზე გადის, შემდეგ კი რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზებს უერთდება. ასე ეზიარნენ ჭიდაობის კლასიკურ სახეობებს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შ. ჩოჩიშვილი, სპორტის ოსტატები ი. ასპანაძე, გ. უმიკაშვილი, გ. ჩოჩიშვილი; სპორტის ოსტატობის კანდიდატები ზ. ასპანაძე, ტ. ჭყოიძე, ვ. დულარიძე, ზ. კაბულაშვილი და სხვ. ზემო ხვედურეთში პატივს სცემენ სპორტულ ტრადიციებს. ზაფხულობით შაბათი და კვირა ისე არ გაივლის, აქაური ფალავნები მეზობელ სოფლებს არ ეწვიონ მუხლისა და მკლავის ძალის მოსასინჯად. მაგრამ მშობლიურ სოფელში მათ ვერავინ მიუწვევიათ, რადგან უბრალო საჭიდაო სარბიელიც არ გააჩნიათ. ენთუზიასტებს სკოლის ეზოში თავად მოუწყვიათ საჭიდაო ორმო, მაგრამ რომელიღაც გულღრძოს ღამით ზედ არხის წყალი მიუგდია და სარბიელიც ერთიანად დასილულა.

სკოლის ფიზკულტურული საქმიანობითაც დავინტერესდით.

— სპორტულ დარბაზს ვინ ჩივის, რაღაც უხეირო მოედნები გვაქვს და იმასაც არ გვაკარებენ. საერთოდ, გაკვეთილების შემდეგ სკოლის ეზოში ფეხის შედგმა აკრძალული გვაქვსო, — შემოგვჩივლეს მოსწავლეებმა.

— კლასგარეშე მუშაობა სადღა ტარდება? — ვიკითხეთ უნებლიეთ.

მოსწავლეებმა ვერაფერი გვიპასუხეს. როგორც შემდეგ დავრწმუნდით, მათ თურმე წარმოდგენაც არა აქვთ კლასგარეშე მუშაობაზე. ე. ელჩიბეგაშვილმა, რომელიც სკოლის ორგანიზატორად მუშაობს, თავის მართლებას იოლ ხერხს მიმართა — ყველაფერი ფიზაღზრდის მასწავლებელს ა. ქილიფთარს გადააბრალა. ორგანიზატორმა X კლასის მოსწავლეები წარმოგვიდგინა კარგ სპორტსმენებად და მშდ კომპლექსის ნიშნოსნებად გაგვაცნო. სპორტსმენობაზე არ ვდაობთ, მოსწავლეებისთვის მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნები კი ნამდვილად ყალბად მიუციათ. მათ თავად აღიარეს, ცურვაში საერთოდ არ გვქონია შეჯიბრებაო. არც ის იციოდნენ, კომპლექსის რომელი საფეხურის ნორმატივები ჩააბარეს.

... კოლმეურნეობის კონტორამდე ფეხბურთის მოყვარულებმა მიგვაცილეს და თან ისევ გვიმტკიცებდნენ, წერილში მოყვანილი ფაქტები სწორიაო. გვაინტერესებდა ვვენახა გამგეობის დადგენილება, რომელშიც კონკრეტულად იქნებოდა აღნიშნული სპორტული მოედნებისთვის გამოყოფილი ნაკვეთის საზღვრები. ძველი საქმეები არქივში გადაეგზავნათ, მაგრამ რაიონის მთავარ აგრონომ ს. მინდიაშვილთან ერთად მაინც დავადგინეთ ჭეშმარიტება. სადავო საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულმა სოფლის განაშენიანების რუკამ გაგვცა პასუხი. სპორტული მოედნებისთვის გამოყოფილი ფართობი არავის მიუთვისებია. თუმცა სხვადასხვა დროს ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე (სპორტული მოედნებისთვის 0,64 ჰექტარია გამოყოფილი) კოლმეურნეობის თავკაცებს უხვად გაუციათ სამოსახლო ნაკვეთები. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სახლები ზედ „მოედანზე“ ჩაუდგამთ. ცხადია, ეს გაუგებრობა არ მოხდებოდა, თავიდანვე რომ თვალსაჩინოდ აღენიშნათ სპორტული მოედნებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საზღვრები. ახალგაზრდები ამოდენა ტერიტორიაზე ბურთს ხან სად გააგორებდნენ, ხან სად, მერე მათს შერჩეულ ადგილზე სახლს წამოჭიმავდნენ და სპორტის მოყვარულები თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ. გადარჩენილ ტერიტორიაზე მართლაც ჩინებული სპორტული კომპლექსის მოწყობა შეიძლება, მაგრამ ახლა მას სათოფეზე არავინ ეკარება. ამიტომაც ქცეულა იგი პირუტყვისა და მანქანების სათარეშოდ.

ახლახან ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობა ქარელის კოლმეურნეობას შეუერთდა. ახლა სოფლის გამრჯე ადამიანებმა უნდა თქვან თავიანთი სიტყვა. უფროსებს მხარში ახალგაზრდობაც ამოუდგება. ოღონდ საჭიროა კოლმეურნეობის გამგეობამ ამ ახალგაზრდებს მშობლიურ სოფელშივე შეუქმნას გართობა-დასვენებისა და სპორტული დაოსტატებისთვის აუცილებელი პირობები.

ნათქვამია, ცნობილი კაცი სოფლის თვალიაო. მშობლიური სოფლისთვის ზრუნვა არც ჩვენმა სასიქადულო ფალავანმა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა შ. ჩოჩიშვილმა უნდა დაივიწყოს.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ზემო ხვედურეთი,
ქარელის რაიონი.

## საპრიზო ადგილზე

ამას წინათ ვოროშილოვგრადში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების XI სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძალოსნობაში. შეჯიბრებას წინ უძღოდა ზონალური ასპარეზობანი. ამიერკავკასიის ზონიდან უძლიერესის სახელი მოიპოვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა.

ასპარეზობდა 16 კოლექტივი. ძლიერი გუნდები გამოიყვანეს გორკის, გორსკის, ომსკის, ვიტებსკის, ვოროშილოვგრადისა და სხვა ქალაქების სასოფლო-სამეურნეო უმაღლესმა სასწავლებლებმა.

კარგად გამოვიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილი დაიკავეს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის ძალოსნებს არასოდეს მოუპოვებიათ V ადგილზე უკეთესი შედეგი, ეს წარმატება, რა თქმა უნდა, მისასალმებელი და სასიხარულოა. ჩვენი ძალოსნების წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის გუნდის მწვრთნელს, ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებელს გ. ცხოვრებაშვილს.

პირად ჩათვლაში ყველას აჯობა აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტმა გ. სითათაშვილმა, რომელმაც II ადგილი მოიპოვა. III ადგილზე გავიდნენ ბ. მურადოვი, რ. ჟამკოციანი და რ. ჯიოშვილი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს გორსკელებმა, ხოლო II ადგილზე ვოროშილოვგრადელები გავიდნენ.

რ. საგინაშვილი.

## სპარტაკიადის ფინალში გავიდნენ

„ლოკომოტივის“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა მოსწავლეთა 26-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრებები ხელბურთსა და კალათბურთში.

ხელბურთში გოგონებს შორის გაიმარჯვა ლანჩხუთის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ სამტრედიელები, III — ზესტაფონელები. ჭაბუკებში I ადგილი დაიკავეს სამტრედიის, II — ლანჩხუთის, III — ზესტაფონის წარმომადგენლებმა.

კალათბურთელთა შეჯიბრებაში, როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის, საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სამტრედია, ზესტაფონი, ტყიბული.

I ადგილებზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში.

ჯ. ვაშაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

## დაუმარცხებელი არავინ დარჩა

ჟდანოვში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტური. მონაწილეებმა უკვე ჩაატარეს 3-3 შეხვედრა.

როგორც ცნობილია, პირველი ტურის მატჩების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტსმენებმა, მაგრამ ჟდანოვში მათი შეხვედრა თანაქალაქელ მეზღვაურებთან ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა (6:4) და გათამაშებას სათავეში ეს გუნდები ჩაუდგნენ. მაგრამ მოსკოველი მეზღვაურების ლიდერობა მხოლოდ ორ დღეს გაგრძელდა: 25 მარტის მატჩში მოსკოველ დინამოელებთან მათ ფრედ (0:0) ითამაშეს და კვლავ წინ გაუშვეს მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი.

თბილისის „დინამომ“ სამ მატჩში მხოლოდ ქულა აიღო. ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელებმა ჯერ დაძაბულ ბრძოლაში წააგეს (6:7) სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდთან. მორიგი შეხვედრა თბილისელებს ლვოველ თანაკლუბელებთან ჰქონდათ. მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 4:4. კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წყალბურთელებთან თბილისის დინამოელებმა სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ — 6:8. ეს იყო ბაქოელ წყალბურთელთა პირველი გამარჯვება ამ ჩემპიონატში.

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 28 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 8 | 7 | 0 | 1 | 46:24 | 14 |
| სსფ ცსსკ (მოსკოვი) | 8 | 6 | 1 | 1 | 45:32 | 13 |
| „დინამო“ (კიევი) | 8 | 6 | 0 | 2 | 37:27 | 12 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 2 | 4 | 2 | 33:30 | 8 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 8 | 3 | 2 | 3 | 27:31 | 8 |
| „დინამო“ (თბილისი) | 8 | 3 | 1 | 4 | 41:44 | 7 |
| „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) | 8 | 1 | 5 | 2 | 38:42 | 7 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 8 | 2 | 3 | 3 | 35:41 | 7 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 8 | 2 | 2 | 4 | 22:30 | 6 |
| „დინამო“ (ხარკოვი) | 8 | 1 | 3 | 4 | 34:39 | 5 |
| წკფ (ბაქო) | 8 | 1 | 3 | 4 | 40:46 | 5 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 8 | 0 | 4 | 4 | 30:42 | 4 |

## საიუბილეო, XXX...

გუშინწინ მოსკოვში, ცსკა-ს აუზში, დაიწყო XXX საიუბილეო შეჯიბრება ცურვაში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. წლეულს საასპარეზოდ მოსკოვს ეწვივნენ აშშ-ს, ბულგარეთის, უნგრეთის, გფრ-ის, რუმინეთის, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ჰოლანდიის სპორტსმენები, რომლებიც სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრები გუნდების წევრებთან ერთად იბრძოლებენ გამარჯვებისთვის.

სტუმართა შორისაა კალიფორნიელი მწვრთნელი, მსოფლიო რეკორდსმენებისა და ოლიმპიური ჩემპიონების გ. ბარტონისა და დ. მაირის აღმზრდელი მ. ჰასტინგსი, რომელმაც ამჯერად საასპარეზოდ აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების ოთხი კანდიდატი ჩამოიყვანა.

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზი 1944 წლიდან თამაშდება, მაშინ შეჯიბრებაში მხოლოდ მოსკოვის მოცურავეები ჩაებნენ. სამი წლის მერე ტურნირი საკავშირო მასშტაბის ასპარეზობად იქცა, 1967 წლიდან კი საზღვარგარეთელი მოცურავეებიც ცდიან ძალებს. ამ შეჯიბრების პრიზები მოპოვებული აქვთ ისეთ ცნობილ სპორტსმენებს, როგორიც არიან რ. მათესი (გფრ), ა. კოკი (ჰოლანდია) და სხვ.

და აი, გუშინწინ ა. კოკს მხარი აუბა მისმა თანამემამულემ ბ. ენიტმა, რომელმაც ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში გამარჯვებით სპეციალური პრიზი — სამოვარი დაისაკუთრა — 59,6 წამი. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ლენინგრადელი ტ. შელოფასტოვა, რომელმაც შეიარაღებული ძალების ნაკრების გუნდის ყულაბაში საკმაო ქულები შეიტანა — 1.02,1. იგი უფროსთა შორის მესამე იყო, გოგონების შეჯიბრებაში კი — პირველი.

ასპარეზობის პირველ დღეს კიდევ ერთი გამარჯვებული გამოვლინდა. ეს გახლდათ თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში უძლიერესი, მოსკოველი ვ. ბურე — 53,3.

პრიზის გათამაშების ფორმულით, ყველა სტილით შეჯიბრებაში ყველა დისტანციაზე ოთხი პირველი ადგილი თამაშდება — ვაჟების, ქალების, ჭაბუკებისა და გოგონებისთვის. საბჭოთა მოცურავეებისთვის ეს შეჯიბრება ძალთა გენერალური შემოწმება იქნება გდრ-ის გუნდთან მატჩის წინ, რომელიც მალე მინსკში გაიმართება.

## ფილმი მამაცთა სპორტზე

ნათელი, მოწმენდილი ცა. აქა-იქ პატარ-პატარა, მხუმუქი ღრუბლები ჩანს. მაღლა, სულ მაღლა, ადამიანებს შეამჩნევთ. ხელები ფართოდ გაუშლიათ და ჩიტებივით დასტრიალებენ თავს დედამიწას.

ამ კადრებით იწყება ახალი ფერადი დოკუმენტური ფილმი „ნებისყოფა, სიმამაცე, ოსტატობა“, რომელიც დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში შექმნეს რეჟისორმა ვ. ბოიკოვმა და ოპერატორმა ს. კისელიოვმა ვ. ვასინას სცენარით. ჰაერში გადაღებები ეკუთვნის სპორტის ოსტატ ა. ზალისინს.

ფილმის გმირები არიან საპარაშუტო სპორტის ოსტატთა საკავშირო ნაკრები გუნდის წევრები, სამგზის მსოფლიო ჩემპიონები, მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი, საკავშირო და მსოფლიო რეკორდების მფლობელნი.

პარაშუტით ხტომა საავიაციო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სახეობაა. იგი საბჭოთა ქვეყანაში ძალიან პოპულარული, ამასთან, რომანტიკული და ხელმისაწვდომი სპორტია. ამ სახეობაში მეცადინეობის დაწყება 17 წლის ასაკიდან შეუძლია ყველას, ვისაც სურს თავისი ძალა და ნებისყოფა გამოსცადოს, ვინც სრულყოფილ ოსტატობაზე ოცნებობს. პარაშუტისტის წარმატებაში ჩაქსოვილია ბევრი ადამიანის შრომა: ინსტრუქტორებისა, მფრინავებისა, მწვრთნელებისა.

აი, ეკრანზე ჩანს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ა. დუნაევი, რომელიც სპორტსმენებს ადევნებს თვალს. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ნახტომის მოწმეა იგი თუნდაც ერთი წლის მანძილზე. მწვრთნელმა ყველა ნახტომს გულდასმით უნდა ადევნოს თვალი, ზუსტად შეაფასოს ყველა დეტალი — გადმოხტომიდან დაშვების მომენტამდე, რათა მერე სპორტსმენს შეცდომებზე მიუთითოს და ნაკლის გამოსწორების გზები უჩვენოს.

ბოლო წლებში შეჯიბრების პროგრამაში სულ უფრო ხშირად შეაქვთ ჯგუფური ხტომები თავისუფალი ვარდნით. მაყურებლები ფილმში ნახავენ ერთ-ერთ ასეთ ხტომას — „ესტაფეტის გადაცემას“. აი, პირველი პარაშუტისტი სწყდება თვითმფრინავს, აქეთ-იქით იხედება, პარტნიორს ეძებს, ესტაფეტის ჯოხი მარჯვენა ხელში უჭირავს...

ფილმი გვიამბობს სპორტსმენებზე, რომლებიც ქვეყნის ღირსებას იცავენ საპარაშუტო მრავალჭიდში გამართულ შეჯიბრებებში. პროგრამაში შედის დაშვების სიზუსტეზე ხტომა, სირბილი უსწორმასწორო ადგილებში, სროლა და ცურვა. მრავალჭიდში პირველობა უკვე სამჯერ გათამაშდა სოციალისტურ ქვეყნებს შორის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა სამჯერ მოიპოვეს გამარჯვება.

ახალ ფილმში მაყურებლები ნახავენ საბჭოთა სპორტსმენთა გამოსვლას იუგოსლავიაში, სადაც ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა „ადრიატიკის თასის“ გათამაშება. ეს ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებაა.

ბ. რატომსკაია.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

### სასამართლო ქრონიკა

## წაუგებელი ლატარიის გამომგონებლები

საქართველოს დოსააფის წითელი წყაროს რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ კ. სეხნიაშვილმა გასავრცელებლად მიიღო მორიგი ავტო-მოტოლატარიის ბილეთები, სულ 8500 მანეთის ღირებულებისა. ეს ბილეთები უნდა გაევრცელებინათ, ხოლო მიღებული თანხა გადაერიცხათ სახბანკის წითელი წყაროს განყოფილებაში შესაბამის ანგარიშზე.

სეხნიაშვილი ყველაფერზე ყაბულს იყო: იმაზეც, რომ ბილეთები გაევრცელებინა, და იმაზეც, რომ ფული მიეღო. მხოლოდ ერთი რამ არ უჯდებოდა ჭკუაში: ფულის სახელმწიფოსთვის გადაცემა.

სეხნიაშვილმა, აგრეთვე, დოსააფის რაიკომის ინსტრუქტორმა თ. კოჭლამაზაშვილმა ბუღალტერ მ. ალუგიშვილის დახმარებით 8500 მანეთის ბილეთები გაყიდეს, ხოლო 3178 მანეთი და 75 კაპიკი თვითონ ჩაიჯიბეს.

ნუთუ ამ გაიძვერებს იმედი ჰქონდათ, რომ დაუსჯელად მიითვისებდნენ საზოგადოების ფულს, როცა იგი ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადარიცხეს? ნუთუ მათ შეძლეს თავისთვის გამოეგონებინათ ლატარია, რომელიც მხოლოდ მოგებას მოუტანდათ? ახლა ეს შეკითხვები რიტორიკულად ჟღერს. მართლმსაჯულებამ დაშალა მათს მიერ არც ისე ეშმაკურად გაკეთებული დანაშაულობათა ხლართი და შეაჯამა შედეგი: ლატარიის ბილეთებით, აგრეთვე, საწევრო გადასახადებით გაჩაღებული მაქინაციების შედეგად დატაცებული იყო 9425 მანეთი და 11 კაპიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ზ. მაისაშვილის თავმჯდომარეობით კ. სეხნიაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით, თ. კოჭლამაზაშვილს — თავისუფლების აღკვეთა 7 წლით სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით. მ. ალუგიშვილს მიესაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. (საქინფორმი).

# ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი



23 მარტს დაიწყო საქართველოს 1974 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

● „მადნეული" (ჭიათურა) — „დინამო" (სოხუმი) 2:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

შავი ქვის ქალაქის სტადიონზე საზეიმო ვითარებაში, მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით გაიხსნა ჩემპიონატი. მოეწყო სპორტსმენთა ალლუმი, რის შემდეგაც გუნდების კაპიტნებმა აღმართეს გათამაშების დროშა.

მასპინძლებმა შეტევით დაიწყეს თამაში და უკვე მე-4 წუთზე ივანოვის ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია. ტაიმის დასასრულს იმავე ივანოვმა მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში, შესვენების შემდეგ კი ანგარიშში ცვლილება აღარ მომხდარა.

● „კოლხეთი" (ხობი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. შემდეგ მეტალურგებმა გააძლიერეს შეტევა, რასაც 73-ე წუთზე მოჰყვა ბოჭორიშვილის მიერ გატანილი ბურთი, მაგრამ სულ მალე სტუმრების დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომის შედეგად ნ. გვასალიას საშუალება მიეცა გაექვითა გოლი — 1:1. თამაში უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ერთ-ერთი მცველის ხელით თამაშისთვის „მეტალურგის" კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. ხობელებმა პენალტი ჯ. გვასალიას მიანდეს, მან კი მიზანს ააცდინა ბურთი.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 0:0, მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — დიმიტროვის სახ. ქარხანა (თბილისი) 1:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

დაწინაურდნენ თბილისელები (იაკუბოვი), ხოლო საპასუხო გოლი ჩეხოევმა გაიტანა.

● „კახეთი" (თელავი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:1. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).

თელაველებს დასაწყისიდანვე მიეცათ ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, რომელთაგან მხოლოდ ერთის გამოყენება შეძლო ჩაველაშვილმა. შემდგომში „შუქურამ" გამოასწორა მდგომარეობა, ჯინჭარაძემ გაქვითა კიდევ ანგარიში, მაგრამ მეკარის უხეში შეცდომით ისარგებლა ი. ზაბალიშვილმა და დააწინაურა „კახეთი".

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან ქობულეთელი ა. კვირკველია და თელაველი ვ. ბაღათრიშვილი.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ალადაშვილის ზუსტი დარტყმის შემდეგ, 68-ე წუთზე, დაწინაურდა „მეტალურგი": ცოტა ხნის შემდეგ თანაფარდობა აღადგინა აბაშიძემ.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:0. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

დ. ოდიშარიას მიერ მატჩის დასასრულს გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „სალხინოს".

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „სულორი" (ვანი) 3:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს ვანელებმა (ლორთქიფანიძე), მაგრამ ტაიმის დასასრულს ქერდიკაშვილმა გაქვითა ეს გოლი, ხოლო შემდეგ მანვე და ნოზაძემ კიდევ ორჯერ აიღეს „სულორის" კარი.

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ივერია" (ხაშური) 1:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, ხოლო „ივერია" ორგანიზებულად იგერიებდა მათს შეტევებს. და მაინც, „ამირანმა" შეძლო გამარჯვება: გადამწყვეტი გოლი 71-ე წუთზე გაიტანა ეზუხბაიამ.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილება მიეცათ ოჩამჩირელ ი. ჯანჯულიას და ხაშურელ თ. ლომსაძეს.

● „ვარძია" (ასპინძა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:2. მსაჯი დ. კვინიკაძე (თბილისი).

მე-8 წუთზე დაწინაურდნენ ცხაკაიელები (ქაჩიბაიამ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა), ტაიმის დასასრულს კი ფართლაძემ საპასუხო გოლი გაიტანა. შემდეგ უკვე „ვარძია" გავიდა წინ (წილოსანი) და ამჯერად ნიკოლაიშვილმა აღადგინა წონასწორობა — 2:2. მატჩის ბედი გადაწყდა 76-ე წუთზე, როცა ასპინძელმა მეფარიძემ მეტოქის კარში გადამწყვეტი ბურთის გატანა შეძლო.

• • •

სურათზე: მატჩის მომენტი რუსთავში ადგილობრივ „მეტალურგსა" და ტყიბულის „მეშახტეს" შორის.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

## „ლელოს" წერილის კვალდაკვალ

### ფედერაციის შემადგენლობა განახლდა

ამას წინათ ცხაკაიაში გაიმართა რაიონის ფეხბურთის ფედერაციის კრება, რომელმაც განიხილა „ლელოში" დაბეჭდილი წერილი „უყურადღებოდ მიტოვებული გუნდი".

კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმისა და მისი თავმჯდომარის ო. ჭკადუას სუსტი მუშაობა. რაიონში ყურადღება არ ექცეოდა ფეხბურთის განვითარებას, ცხაკაიას „ეგრისის" გუნდში ჩაიშალა აღმზრდელობითი მუშაობა, თავი იჩინა უდისციპლინობამ, რეჟიმის დარღვევამ, საწვრთნელ მეცადინეობათა გაცდენამ. ამის შედეგი იყო, რომ ეგრისელებმა ძალიან სუსტად ითამაშეს რესპუბლიკურ ჩემპიონატში. ფედერაციის პრეზიდიუმს ერთხელაც არ უმსჯელია ამ საჭირბოროტო საკითხებზე.

აირჩიეს ფედერაციის ახალი შემადგენლობა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ქებურია, მოადგილეებად — ე. ბალათურია და ო. კოხია.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა ცხაკაიას პარტრაიკომის მეორე მდივანი მ. აბშილავა.

ი. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

# მინი-ფეხბურთი და დიდი ბრძოლა

### რესპუბლიკური შეჯიბრება თბილისის სპორტის სასახლეში

თბილისის სპორტის სასახლეში გუშინწინ სტარტი აიღო ნორჩთა რესპუბლიკურმა ტურნირმა მინი-ფეხბურთში. მატჩები მიმდინარეობს ორგანიზებულად, საინტერესოდ. ბავშვთა შორის არიან ნიჭიერი მოთამაშეები, რომლებიც გამოირჩევიან კარგი ტექნიკით, საზრიანობით, სისწრაფით.

პირველი დღის შეხვედრათა შედეგები ასეთია: თბილისი I — სპორტსკოლა (ჭიათურა) 0:1, „დინამო" (ზუგდიდი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:2, „ტორპედო" (ქუთაისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:0, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:1, „დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:2, თბილისი II — „დილა" (გორი) 2:0, „დინამო" (სოხუმი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (ცხინვალი) 2:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:1.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — თამაშობენ თბილისი II და „დილა" (გორი); მარჯვნივ — ფოთის „კოლხეთისა" და ტყიბულის „მეშახტის" გუნდების შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ორი ბელოვის ბენეფისი

## თბილისის „დინამომ" დაამარცხა „ქალგირისი"

ლენინგრადი, 26 მარტი. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის პირველი დღე მძაფრი ბრძოლებით აღინიშნა, თუმცა მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა თითო ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში და კიდევ უფრო განიმტკიცეს მდგომარეობა.

მაგრამ, ვიძეორებთ, გამარჯვების მისაღწევად მათ მთელი ძალების მობილიზება მოუხდათ. მაგალითად, ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ცსკა-მ პირველი ტაიმი აუტსაიდერთან — რიგის არმიელებთან წააგო — 29:33. მოსკოველებმა მხოლოდ მეორე ნახევარში გარდატეხეს თამაში, ისიც ს. ბელოვის უნაკლო თამაშის წყალობით (მან თავის გუნდს 22 ქულა შესძინა). საბოლოო ჯამში ლიდერმა გაიმარჯვა — 76:62.

ბრწყინვალედ ითამაშა ლენინგრადის „სპარტაკის" ლიდერმა ა. ბელოვმაც. კიევის არმიელებთან გამარჯვებაში ყველაზე დიდი დამსახურება სწორედ მას მიუძღვის — 22 ქულა. „სპარტაკმა" ეს შეხვედრა შედარებით იოლად მოიგო — 90:66 (49:35).

თბილისის „დინამომ" ერთობ საჭირო ქულა აართვა თავის ძირითად მეტოქეს — „ქალგირისს". გამარჯვება დინამოელებმა ზედ ბოლო წუთზე გამოგლიჯეს ხელიდან მეტოქეს — 73:71.

მოსკოვის „დინამოს" და მინსკის რტი-ს შეხვედრაში ძნელი გასარკვევი იყო ვის დარჩებოდა გამარჯვება. ხუთქულიანი უპირატესობა (41:36), რომელსაც დინამოელებმა შესვენებამდე მიაღწიეს, საბოლოო წარმატებისთვის უკმარი გამოდგა. მოსკოველებმა ბოლოს მაინც იმარჯვეს, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით — 77:76.

III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტარტუს „კალევისა" და კიევის „სტროიტელის" ორთაბრძოლას. გაიმარჯვეს ესტონელებმა — 89:78 (45:48).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 მარტისთვის

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 23 | 22 | 2059-1758 | 22 |
| „სპარტაკი" | 23 | 19 | 1787-1566 | 19 |
| „სტროიტ." | 23 | 13 | 1962-1878 | 13 |
| „დინ." (მ.) | 23 | 13 | 1864-1801 | 13 |
| „კალევი" | 23 | 12 | 1877-1799 | 12 |
| „დინ." (თბ.) | 23 | 10 | 1751-1830 | 10 |
| „ქალგირისი" | 23 | 9 | 1797-1838 | 9 |
| ასკ (რიგა) | 23 | 6 | 1779-1965 | 6 |
| რტი | 23 | 6 | 1642-1916 | 6 |
| ასკ (კიევი) | 23 | 5 | 1724-1891 | 5 |

# ლიდერები პოზიციებს ინარჩუნებენ

გუშინწინ სვერდლოვსკსა და ფრუნზეში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის მატჩები.

სვერდლოვსკში ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა, ლენინგრადის „სპარტაკმა" დაამარცხა ვილნიუსის „კიბირკშტისი" — 78:70 (45:36). კარგად ითამაშა „ურალმაშმაც", რომელიც ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში II ადგილზეა. ურალელებმა მოუგეს ალმა-ათის „ბურევესტნიკს" — 67:59 (38:27). მოსკოვის დინამოელებმა აჯობეს „სერპ ი მოლოტს" (მოსკოვი) — 70:63 (35:26).

მოულოდნელობათა გარეშე ჩატარდა ფრუნზეს ჯგუფის მატჩებიც. მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა", რომელსაც გათამაშების ცხრილში III ადგილი უკავია, დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი" — 72:61 (38:30). რიგის ტტტ-მ მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 67.52 (39:22), ხოლო კიევის „დინამომ" — ფრუნზეს „სტროიტელს" — 84:70 (46:31).

# დარჩა ფინალები

გაიმართა ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ტურნირების ნახევარფინალური მატჩები.

### ჩემპიონთა თასი

ესპანეთის ჩემპიონმა „რეალმა" ორივე მატჩი აქტიურად ჩაატარა საფრანგეთის ას „ბერკთან". შინ ესპანელებმა 32-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს (99:67) და ფაქტიურად გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი. „რეალმა" სტუმრადაც იმარჯვა, მაგრამ ამ წარმატებას (95:81) მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. „რეალი" ფინალში გავიდა, სადაც შეხვდება თასის მფლობელს, იტალიის „ინისს".

„ინისისა" და იუგოსლავიის ჩემპიონ „რადნიჩკის" ორთაბრძოლა გაცილებით უფრო დაძაბული გამოდგა. იტალიაში გაიმარჯვა „ინისმა" — 105:79; ბელგრადში — „რადნიჩკიმ" — 83:70. ორი შეხვედრის ჯამში თასის მფლობელს უკეთესი მდგომარეობა აღმოაჩნდა — 175:162.

### თასების მფლობელთა თასი

პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბრნოს „სპარტაკ-ზბროიოვკა" და ტურინის „საკლა". მეტოქეებმა თითო მატჩი მოიგეს შინ, ჩეხოსლოვაკიელებმა ანგარიშით 88:71, იტალიელებმა — 86:70. საბოლოო ჯამში ფინალში „სპარტაკ-ზბროიოვკა" გავიდა, რომელსაც უმნიშვნელო უპირატესობა აღმოაჩნდა — 158:157.

მეორე ფინალისტი მადრიდის „ესტუდიანტესისა" და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ორმა მატჩმა გამოავლინა. ორივე იუგოსლავიელებმა მოიგეს: შინ — 104:85, სტუმრად — 79:74.

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „სპარტაკ-ზბროიოვკა" და „ცრვენა ზვეზდა".





# სპიდვეი მამაცთა სპორტია

პოლონელმა სპიდვეისტებმა ბოლო წლების განმავლობაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. გამარჯვებათა საფუძველია სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის დიდი პოპულარობა და პოლონეთის სპორტული საზოგადოებების დაუღალავი ზრუნვა სპიდვეის შემდგომი განვითარებისთვის. სპიდვეისტთა შეჯიბრებები, როგორც წესი, აურაცხელ მაყურებელს იზიდავს პოლონეთის ბევრ ქალაქში მოწყობილ სპეციალურ სარბიელზე.

მათ შორის, ვინც პოლონეთის სპიდვეის საქვეყნოდ გაუთქვა სახელი, არის შჩაკელი, რომელმაც სხვა ქვეყნების უძლიერეს წარმომადგენლებთან ჭიდილში მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება შეძლო.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიო პირველობის ერთ-ერთ მომენტს (წინა პლანზეა შჩაკელი), ქვედა სურათზე კი პოლონელი სპორტსმენი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგას მოოქრული დაფნის გვირგვინით შემკული.

ი. მიხლევსკის (ვარშავა) ფოტოები.








# ტონის მემკვიდრე

სანქტ-მორიცში სამთომთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მსოფლიო თასებისთვის მებრძოლებმა ცოტა ხნით შეისვენეს და შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გააჩაღეს. მაგრამ ბუნების ჭირვეულობამ კარგი დღე არც მათ დააყენა — ბოლო ეტაპის შეჯიბრებების ორგანიზატორებს ზოგან თოვლი ჰქონდათ საძებარი, ზოგან კი ქარბუქმა შეჯიბრება საერთოდ ჩაშალა (მაგალითად, ქალთა სტარტი კორტინა დ'ამპეცოში).

ნორვეგიის ქალაქ ვოსის გარეუბანში თასებისთვის მებრძოლი ვაჟები გიგანტური სლალომის 1500-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 415 მ, 63 კარი) ორჯერ ეშვებოდნენ. თასის სამგზის მფლობელმა, იტალიელმა გ. ტონიმ, რომელმაც მდგომარეობის გამოსწორება განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონის ორი ოქროს მედლის მოპოვების შემდეგ დაიწყო, აქაც წარმატებით იასპარეზა: პირველ დაშვებაში მას ვერავინ აჯობა — 1.38,81. განმეორებით სტარტზე ტონიმ თავდაპირველი შედეგი კი გააუმჯობესა (1.37,93), მაგრამ ამჯერად ეს მესამე მაჩვენებელი აღმოჩნდა. ორი ცდის ჯამში გამარჯვებით ტონიმ თავის ყულაბას კიდევ 25 ქულა დაუმატა და საერთო V ადგილზე აიწია. აქ II ადგილზე გავიდა ჰ. ჰინტერზეერი (ავსტრია). მესამე იყო ი. სტენმარკი (შვეცია), რომლისთვისაც ამ წარმატებას საერთო ჩათვლაში თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ვაჟთა შეჯიბრების ბოლოსწინა სტარტი ზაკოპანეში მოეწყო. ტრასაზე თოვლი არ კმაროდა. ასობით მანქანა თოვლი ტყიდან მოზიდეს და სპეციალური სლალომის 550-მეტრიანი დისტანცია ისე მოაწყვეს. იტალიელი პ. გროსი, რომელმაც ორიოდე დღის წინათ ხელთ იგდო ლიდერობა, ახლა შეეცადა პოზიციები განემტკიცებინა, თავბრუდამხვევი სისწრაფით დაეშვა და ცდა მოიგო კიდეც. მაგრამ მეორე დაშვებაზე ყველაფერი ქარს გაატანა — ძირითად მეტოქეებთან 3 წამზე მეტი წააგო და საბოლოოდ ამ სახეობაში X ადგილს დასჯერდა. პირველობა დაისაკუთრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ესპანელმა ფ. ფერნანდეს-ოჩოამ, რომელმაც ორი ცდით 1.58,50 დააგროვა. II ადგილზე გავიდა გ. ტონი — 1.59,25, III — ჰინტერზეერი — 1.59,92. გროსმა, X ადგილის მიუხედავად, თასის გათამაშებაში ლიდერობა შეინარჩუნა — 156 ქულა. ჰინტერზეერს 151 ქულა ჰქონდა. რ. კოლომბენს (შვეიცარია) და გ. ტონის — 140-140.

როგორც სპეციალისტები ფიქრობდნენ, გ. ტონის ბოლო ასპარეზობაში, რომელიც მაღალ ტატრებში უნდა ჩატარებულიყო, გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა. ამის საწინდარი იყო იტალიელი სპორტსმენის სტაბილური მაჩვენებლები ბოლო შეჯიბრებებში.

და აი, სტარტის დღეც დადგა. პ. გროსმა, ისევე როგორც თასის წლევანდელი გათამაშების პირველ დღეს ვალ დ'იზერში, გიგანტურ სლალომში გამართულ შეჯიბრებაში, აქაც იმარჯვა ამ სახეობაში. 20 წლის ჭაბუკმა ოთხთვიან მარათონულ ასპარეზობაში 181 ქულა მოაგროვა და მსოფლიო თასი დაისაკუთრა.

ტატრებში პირველივე ცდაზე გროსი დაწინაურდა — 1.17,83. უახლოეს მეტოქეს ჰინტერზეერს მან 2 წამი მოუგო. მეორე ცდაზე ჰინტერზეერმა იმარჯვა, მაგრამ მდგომარეობა მხოლოდ ნახევარი წამით გამოასწორა.

გროსის გამარჯვებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ გ. ტონი აქ მეტისმეტად გაბედულად დაეშვა, ნისლში კარი გამოტოვა და ბრძოლას ისე გამოეთიშა, ერთი ქულაც ვერ მიიღო. სამაგიეროდ, მან მეორე დღეს, აქვე მოწყობილ სპეციალურ სლალომში იძია შური, მაგრამ მხოლოდ ის შეძლო, რომ საერთო ჯამში ჰინტერზეერს გაუსწრო და II ადგილზე გადაინაცვლა.

ვაჟთა შორის მსოფლიო გათამაშება ამით დასრულდა. გაიმარჯვა გროსმა — 181 ქულა. II ადგილზეა ტონი — 165, III — ჰინტერზეერი — 161.

თასები გათამაშდა ცალკეულ სახეობებშიც. გიგანტურ სლალომში გამართულ ასპარეზობათა ჯამში ჯილდო მიიღო გროსმა, სპეციალურ სლალომში — ტონიმ, სწრაფდაშვებაში — კოლომბენმა.

ქალებმა თასისთვის ბრძოლა ცოტა უფრო ადრე დაამთავრეს. მათი ბოლო სტარტებიც ჩეხოსლოვაკიაში მოეწყო, ოღონდ სკალნატე-პლესოს და სტარი სმოკოვეცის მთიანეთში.

სკალნატე-პლესოში გიგანტური სლალომი ჩატარდა. აქ ბედმა ავსტრიელებს გაუღიმა. მ. კაზერერი I ადგილზე გავიდა — 1.18,57. II ადგილზეა თასის სამგზის მფლობელი ა.-მ. პრიოლი-მოზერი — 1.18,5., III — ლ.-მ. მორეროდი (შვეიცარია) — 1.19,23.

კაზერერი ამ გამარჯვებით საერთო ჩათვლაში II ადგილზე გადავიდა.

სტარი სმოკოვეცში სპეციალური სლალომი რ. მიტერმაიერმა (გფრ) მოიგო, მაგრამ ადგილების საბოლოო განაწილებაზე მას არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

ქალთა თასის გათამაშებაში მეოთხედ გაიმარჯვა პრიოლ-მოზერმა — 268 ქულა. მან ყველა მეტოქეს საგრძნობლად გაუსწრო. II ადგილზეა კაზერერი — 153, III — ჰ. ვენცელი (ლიხტენშტაინი) — 144. პრიოლს დარჩა სწრაფდაშვებაში საუკეთესო შედეგებისთვის დაწესებული თასიც. გიგანტურ სლალომში ეს ჯილდო ვენცელმა მოიპოვა, სპეციალურ სლალომში — ქ. ცეჰმაისტერმა (გფრ).

თასების გათამაშების საერთო (ვაჟებისა და ქალების) გუნდურ ჩათვლაში ავსტრიელ სამთომთხილამურეთა უპირატესობა აშკარა იყო.

# ბრაზილიური ფეხბურთი და დაცვითი ტაქტიკა?!

## ლადისლაო მაზურკევიჩი გვესაუბრება მსოფლიო ჩემპიონატის პერსპექტივებზე

სახელგანთქმულმა ურუგვაელმა მეკარემ ლადისლაო მაზურკევიჩმა, რომელიც ამჟამად ბრაზილიის „ატლეტიკა მინეირაში" (ბრაზილიის ჩემპიონი 1972-73 წლების სეზონში) თამაშობს, საინტერესო ინტერვიუ მისცა დასავლეთ გერმანიის ყოველკვირეულ „კვიკის" რეპორტიორს.

მაზურკევიჩი დაიბადა 1945 წელს მონტევიდეოში, პოლონელების ოჯახში. მეკარის კარიერა 1962 წელს დაიწყო ადგილობრივ „რასინგში", საიდანაც მალე გადავიდა „პენიაროლში". 1966 წელს ინგლისისა და 1970 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატებში ურუგვაის ნაკრების ღირსებას იცავდა. დღეს იგი, სპეციალისტთა უმეტესობის აზრით, მსოფლიოში უძლიერესი მეკარეა.

— რამ გამოიწვია თქვენი გადასვლა „პენიაროლიდან" „ატლეტიკო მინეირაში"? — ჰკითხა მაზურკევიჩს რეპორტიორმა.

— „პენიაროლი" მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო და ამიტომ გადაწყვიტა მივეყიდე ბელუ-ორიზონტეს კლუბისთვის. ამბობენ, ამ გარიგებამ იგი გაკოტრებისგან იხსნაო, — უპასუხა ცნობილმა მეკარემ.

— თქვენით ძალიან დაინტერესებული იყო ამსტერდამის „აიაქსი". რატომ არ მოინდომეთ გადასვლა ამ გუნდში, რომელიც ევროპის სამგზის ჩემპიონია?

— ბრაზილიელებმა უფრო მეტი




შემოგვთავაზეს — 350 ათასი დოლარი გადაიხადეს. ეგეც არ იყოს, გულახდილად უნდა გითხრათ, მე თვითონაც ბრაზილია მერჩია.

— რატომ?

— პირდაპირ ვაღმერთებ ბრაზილიურ ყავას. გინდა დაიჯერეთ, გინდა არა — ყოველდღე ოცდახუთ ფინჯანს ვსვამ.

— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება ჩაითვალოს მეკარის იდეალად?

— ურუგვაის ნაკრების ყოფილი მეკარე მასპოლი. მე მისგან ბევრი რამ გადმოვიღე.

— რა მიგაჩნიათ მეკარის მთავარ იარაღად?

— გარდა „რეზინის" სხეულისა, მტკიცე ხელისა და ელვისებური რეაქციისა, მეკარისათვის აუცილებელია თავის დამორჩილების უნარი.

— სად უფრო მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობენ: ევროპაში თუ ლათინურ ამერიკაში?

— ჩვენ ევროპელებზე წინ ვართ ტექნიკით, ისინი კი წინასწარ მთელი ორ ქულას მოგვცემენ თამაშის ორგანიზაციის თვალსაზრისით. ამ მხრივ სამხრეთ ამერიკა ჯერ ისევ რამდენიმე წლით ჩამორჩება „ძველ კონტინენტს".

— შეინარჩუნებენ თუ არა ბრაზილიელები ჩემპიონობას?

— ძალიან მეეჭვება. გულახდილად უნდა გითხრათ, ბრაზილიურ ფეხბურთს ვაღმერთებ, მაგრამ, ჩემი აზრით, ბოლო ხანებში იგი მცდარ გზას ადგას. ბრაზილიელები სულ უფრო ხშირად იყენებენ დაცვითს ტაქტიკას, როცა მათი ძალა მხოლოდ და მხოლოდ იერიშშია. თუ დარჩენილ დროში ვერ შეძლეს ძველი, პირველ ყოვლისა იერიშით თამაშის ტრადიციის აღდგენა, მიუნჰენში ისინი დაკარგავენ მექსიკაში მოპოვებულ ოქროს ჯილდოს.

— როგორია სადღეისოდ ბრაზილიელ ფეხბურთელთა თამაშის კლასი?

— ბრაზილიაში ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ არა ჰყავთ კარგი მწვრთნელები, რომლებიც შეძლებდნენ ბრაზილიური ფეხბურთის უძლიერესი მხარეების ეფექტურად გამოყენებას. სწორედ ამით აიხსნება გადახვევა შემტევი თამაშის ტრადიციებიდან, რამაც ბრაზილიის ნაკრებს წარსულში ბევრი ტრიუმფული გამარჯვება მოუტანა.

— რას იტყვით პელეზე?

— მე არ ვეთანხმები იმ ხალხს, ვინც ბრაზილიურ ფეხბურთს მხოლოდ პელეს სახელს უკავშირებს. ბრაზილიაში ბევრი კარგი, არანაკლებ ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ, ვინაიდან უმაღლესი კლასის მწვრთნელები არ ჰყავთ, მათი ნიჭი გამოუყენებელი რჩება. ერთ-ერთ ასეთ ფეხბურთელად მე პაულო ცეზარი მიმაჩნია.

# ფინალისტთა საქმეები

● პოლონეთის ნაკრებმა კვლავ განიცადა დანაკლისი: მწყობრიდან გამოვიდა მისი უძლიერესი თავდამსხმელი ლიუბანსკი, რომელსაც ხელმეორედ გაუკეთეს მუხლის ოპერაცია. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ლიუბანსკი მალე ჩადგება მწყობრში.

● ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო დადგენილება, რომელმაც გააცვიფრა მრავლის მნახველი ადამიანებიც კი: ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფ. ფადრონცი განთავისუფლებულია, მაგრამ არა ახლა, არამედ მაშინვე, როგორც კი მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდება.

საინტერესოა, რა ხალისით უნდა იმუშაოს მწვრთნელმა დღეს, როცა იცის, რომ ხვალ მას გაათავისუფლებენ.

● მ. მილიანიჩი, იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი, ესპანელებთან მისი გუნდის გამარჯვების შემდეგ დიდად ფასობს საერთაშორისო ასპარეზზე. მადრიდის „რეალი" მილიანიჩს კონტრაქტში სთავაზობს 100 ათას დოლარს და ერთდროულ დახმარებასაც, თუ იგი სათავეში ჩაუდგება გუნდს.

● ფიფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა ოფიციალურად გააფრთხილა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე ქვეყნების ფედერაციები, რომ, თუ მათი გულშემატკივრები ზედმეტად „გაერთობიან" ტრიბუნებზე შუშხუნებით და პეტარდებით, ხელს შეუშლიან მატჩების ნორმალურ მსვლელობას, მიღებული იქნება მკაცრი სანქციები.

● **საფეხბურთო არგენტინას შეუძლია დაწყნარებული იყოს: ამ ქვეყნის ტელეკომპანიამ გამოაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიიდან გადასცემს მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩს.**

# ამერიკელთა გეგმები

ამერიკის შეერთებული შტატების ცურვის ასოციაციამ შეიმუშავა მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ნაკრების მზადების ორწლიანი გეგმა, რომელიც კანდიდატთა შერჩევისა და წვრთნის რამდენიმე ეტაპს ითვალისწინებს.

ამერიკაში ოლიმპიადისთვის მზადება ასე ადრე არასოდეს დაუწყიათ. ახალი ნაბიჯი, როგორც ასოციაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, გამოწვეულია ევროპის ქვეყნების მოცურავეთა შედეგების ზრდით და ბელგრადის I მსოფლიო ჩემპიონატში ამერიკელთა მარცხით, რაც მათ წარმატების სულ უფრო და უფრო ნაკლებ შანსს უტოვებს.

პროგრამა ითვალისწინებს მზადებაში ნიჭიერი ბიჭებისა და გოგონების ჩაბმას, რომლებსაც თავს ცურვის ცენტრებში მოუყრიან.

მზადების პირველი ეტაპი წლის დამლევს დასრულდება. წლეულს საგანგებოდ შერჩეული 2000 სპორტსმენისთვის მოეწყობა სპეციალური კურსები, რის შემდეგაც გაიმართება საკონტროლო შეჯიბრებები უძლიერესთა შესარჩევად. ნაკრების კანდიდატები ასაკისა და მიღწევების მიხედვით სამ კატეგორიად დანაწილდებიან.

ამას წინათ ლოს-ანჯელესში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებიც მონაწილეობდნენ, 13-15 აპრილს კი ლიდსში მეორე ტურის შესარჩევი შეჯიბრება ჩატარდება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04536